სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამთა საჯაიას* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	89	100

გიორგი გზობავა

თარიღი: 16.09.2024 г.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„16“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **თამთა საჯაიას**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **თამთა საჯაია.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **თამთა საჯაიას** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი", როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,ორგანული კანონის" 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

<u>1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

კანდიდატი **თამთა საჯაია** არის პრინციპული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, ერთგული, სამართლიანი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და შრომისმოყვარე პიროვნება. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში **თამთა საჯაიას** ჩადენილი აქვს 34 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დაკისრებული სანქციები გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **თამთა საჯაია <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

<u>2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>2.1. სამართლის ნორმების ცოდნა</u>

თამთა საჯაია არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 76/17.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 6.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *ადმინისტრაციულ სამართალში* თამთა საჯაიას აქვს კარგი თეორიული ცოდნა. იგი იცნობს მოქმედი კანონმდებლობის მნიშვნელოვან დებულებებს, ასევე, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. მას შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. *სამოქალაქო სამართალში* მუშაობისას შესაფასებელ პირს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალია, სამოქალაქო დავათა განხილვის პროცესშიც წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტებში აზრი ყოველთვის სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. აქვს მოსმენისა და რჩევა-

დარიგების გააზრების უნარი. აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი, ეთიკური და არაგადაჭარბებული. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც ხშირად ვლინდებოდა მის მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რომელსაც ყოველთვის დიდი გულისხმიერებით და მონდომებით ასრულებდა. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. *სისხლის სამართალში* სემინარული მუშაობისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სისხლის სამართალი კანონმდებლობის ცოდნის მაღალი დონე. კარგად იცნობს სასამართლო პრაქტიკას. გააჩნია სასამართლო პროცესის წარმართვის სათანადო უნარ-ჩვევები. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის შემადგენელი მახასიათებლის - სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით, შეფასებისას უნდა ითქვას, რომ თამთა საჯაია სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სისხლის სამართლის, ასევე საერთაშორისო სამართლის სფეროს, საპროცესო კანონმდებლობას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამთა საჯაია** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით, ამასთან, რეკომენდატორების მითითებით მის მიერ შედგენილი გადაწყვეტილების პროექტები დასაბუთებისა და კომპეტენციის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის არაერთი სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამთა საჯაია** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

თამთა საჯაიას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, მეტყველებს გამართულად, შეუძლია მოისმინოს განსხვავებული აზრი და გააანალიზოს იგი. ამასთან, იგი ღიად და თავისუფლად გამოხატავს თავის პოზიციასა და შეხედულებებს. კანდიდატი საჯარო

მოსმენაზე მსჯელობისას კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატს მეტ-ნაკლებად ეტყობოდა მღელვარება.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. შესწევს უნარი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი მოტივები გასაგებად გადმოსცეს და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამთა საჯაია** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით, არის ყურადღებიანი, გულმოდგინე, კომპეტენტური, შრომისმოყვარე და საქმისადმი ერთგული, ამასთან, მიზანდასახული, პროდუქტიული და განვითარებაზე ორიენტირებული.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამთა საჯაია** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

თამთა საჯაია არის ღია სიახლეების მიმართ, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში და იმაღლებს პროფესიულ ცოდნას, შეძენილ უნარებს კი ეფექტურად იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.</u>

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- კანდიდატმა 2018 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში;
- ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით;
- გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამთა საჯაია** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10)

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმით **თამთა საჯაიას** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც ღიად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციას და შეხედულებებს.

<u>თამთა საჯაიამ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>

- სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე - პროექტი „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერა - სასამართლო რეფორმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები" – 2022 წელი;
- გამოყენებითი ფსიქოლოგია - დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი - 2021-2022 წლები;
- საპილოტე ტრენინგი - სექსუალური ძალადობის საქმეებზე მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეებისთვის - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2022 წელი;
- სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტიკური გამართულობა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2021 წელი;
- ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2021 წელი.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამთა საჯაია** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **თამთა საჯაია <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **89** (ოთხმოცდა ცხრა) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი